თოფი – მეთოფეს, მეთოფე – სოფელს

ისიდორე ჯანელიძე
ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი, აკად. ი. ჯანელიძის სახელობის საქველმოქმედო ფონდ „მამულის“ დირექტორი ქ. სამტრედიაში და სანკტ-პეტერბურგში, საქართველოს „ოჯახთა ერთობის პარტიის“ თავმჯდომარე, საქართველოს ბიზნესისა და ფაზისის აკადემიების ნამდვილი წევრი

პატივცემულო მკითხველო! არც მოცლილი მრჩეველი ვარ, არც გულთმისანი ანგელოზი და, სხვათა შორის, არც კუ, უადგილო ადგილას დაუფიქრებლად ფეხი გამოვყო, ან ცხვირი ჩავყო... და ვამბობ, რომ აბსოლუტურად ყველა ადამიანის ბედი განუყრელად არის დაკავშირებული საზოგადოების ბედთან, მის მომავალთან. ადამიანი და საზოგადოება განუყოფელია.

როგორც ვიცით, ქართველები ისტორიასა და წარსულზე ორიენტირებული ხალხი ვართ, ამიტომ სადღეისო და სამომავლო ცხოვრების წესი უთუოდ ამის გათვალისწინებით უნდა შევარჩიოთ. რამეთუ, ვისაც წარსულის გააზრება არ შეუძლია, აწმყოში თავის ადგილს ვერ იპოვნის. ასეა, „წარსული აშენებს მომავალს“. რადგანაც წარსულს შევეხეთ, ბარემ აქვე „გავამხელ“, ჩვენ რომ კოლხების შთამომავალნი, ერთ-ერთი პირველთაგანი კულტუროსანი და მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი, ღვთის რჩეული ერის შვილები ვართ, ამის უტყუარი დადასტურებაა, ჩვენი უწმიდესის და უნეტარესის, ილია მეორის ჭეშმარიტად ღვთითამადლებული, საკრალური მნიშვნელობის შემცველი აზრი, რომელიც ყველა ქართველისთვის იმედის და შვების მომგვრელ ქართულ ლოცვაში ასეა ფორმულირებული: „...ღმერთო ჩემო, შენ შეგღაღადებს ერი ჩემი, შენს მიერ შეყვარებული“.

ასე რომ, ყოვლისშემძლე მაღალი ღმერთის მფარველობით და სიყვარულით განებივრებულ ამაყ, მაგრამ ამჟამად დროებით შეჭირვებულ ქართველებს, ჩვენს თავს დამტყდარი ყველა დიდი ეკონომიკური გაჭირვების და პოლიტიკური სასოწარკვეთის ჟამს გამოგვერეოდა ხოლმე პიროვნება, რომელიც ერის სულიერ და ფიზიკურ პოტენციალს ამთლიანებდა და, არც მეტი, არც ნაკლები, ლამის კაცობრიობის ხნის ქართველი ერი და მისი ქვეყანა გზაწვრილიდან სამშვიდობოს უსისხლოდ და უდანაკარგოდ გამოჰყავდა.

ასეთი ზოგჯერ შავი სამღვდელოების მოღვაწე იყო, ხან მირონცხებული მეფისგვირგვინიანი, ხან უგვირგვინო მეფედ ხმობილი, ხან კიდევ ჩვეულებრივი პოლიტიკოსი, მადლცხებული კაცი გვევლინებოდა.

სწორედ ასე მოხდა გასული წლის 1 ოქტომბერს.

ეჰ, ბედი უნდა ყველაფერს. ეს რომ 2008 წლის საახალწლო დღეებში მომხდარიყო... მაგრამ რასა ვიქმთ. ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს... ჰოდა, როგორც კი სწორი არჩევანის საშუალება მიეცა, გონიერმა ქართველმა ხალხმა ერთხმად იწინამძღვრა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“. უფრო თუ დავაკონკრეტებთ, მისი პოლიტიკური ლიდერი ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომლის მთავარი დამსახურება მშობელი ქვეყნის და ერის წინაშე უპირველესად იმ კონკრეტული საქმით გამოიხატა, როგორიც არის წმიდა სამების გრანდიოზული, მთელი მართლმადიდებლური სამყაროსთვის თავმოსაწონებელი საკათედრო ტაძრის აშენება, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური დასის და მისი მყუდრო და თბილი სახლისავანის გადარჩენა... და სხვა მართლაც უთვალავი კეთილი საქმე.

ამ საქმეების ინკოგნიტო სულისჩამდგმელი, ყველა დროის დიდი ქართველი ქველმოქმედი, სულ მალე მე-3 ათასწლეულის გარიჟრაჟის „ქართული პოლიტიკური ოცნების“ ახდომის მთავარ გარანტად მოგვევლინა და სრულიად საქართველოსთვის ამ ისტორიულმა ფაქტმა ყველასთვის ცხადზე უცხადესი გახადა, რომ ძველი მმართველი ფენა სახელმწიფოს ისე მართავდა, როგორც ეს საჭირო იყო მხოლოდ და მხოლოდ მისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად და არა „აბსტრაქტული“ უმრავლესობის საკეთილდღეოდ. რამაც, ჩვენი ყოფა-ცხოვრების ყველა დარგში და სფეროში, ძალიან რბილად რომ

ვთქვათ, უკიდურესად ნეგატიურად იჩინა თავი.

ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გვეშველა და ამოვისუნთქეთ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი დე იურე № 1 უმაღლეს ხელისუფლად მოგვევლინა და ამით მოიგო სრულიად საქართველომ, ხაზს ვუსვამ, სრულიად საქართველომ! ე. ი. ჩვენ ყველამ. ეს არის ის უდავო ჭეშმარიტება, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს!

კიდევ ერთის თქმის თუ ამოთქმის დიდი წადილი მაქვს და ბარემ აქვე გავამხელ: განუმეორებელი სვე-ბედის ცოცხალმა კლასიკოსმა მწერალმა, ერის კაცობაში ბატონმა ჭაბუა ამირეჯიბმა, ბერობაში მამა დავითმა ქართული ეროვნული წიაღიდან ამოზრდილი უაღრესად კოლორიტული მხატვრული პერსონაჟი დათა თუთაშხია, ქართული ხალხური ფოლკლორის ამირანივით უკვდავი გმირი „გამოიგონა“ და ქართული ფენომენის უნაკლოდ ხორცშესხმულ განსახიერებად მოგვივლინა...

გადაუჭარბებლად შეიძლება იგივე ითქვას ქართული სოფლის ერთი ჩვეულებრივი მშრომელი ოჯახიდან გამოსულ, №1 ქველმოქმედსა და პოლიტიკოსზე ბატონ ბიძინა გრიგოლის ძე ივანიშვილზე.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ იმ „საოცარ“ ამერიკელებს ჰქონიათ ასეთი გამოთქმა „სელფმეიდენ“, რაც ნიშნავს ადამიანს, თავისი თავის შემოქმედს, თავისი თავის შემცნობელს, თავისი თავის განმსაზღვრელს, რომელსაც შეუძლია, განჭვრიტოს საკუთარი ბედი და მომავალი. ასეთ პიროვნებად გვეგულვის ბატონი ბიძინა.

ამ წერილის დაწერისკენ მიბიძგა და ამდენად „დამნაშავეა“ პროფესორი როზეტა ასათიანი, რომელმაც (2004 წ.) იწინასწარმეტყველა: „საზოგადოებამ რეალურად უნდა დაინახოს „ვარდების რევოლუციის“ შედეგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო პერმანენტული რევოლუციების ქვეყანა გახდება.“ ჰოდა, ისე აგვიხდა ყველაფერი კარგი. იმ „სიკეთეებისთვის“, რაც ნაციონალებმა ცხრა წლის განმავლობაში საქართველოში დაახვავეს, რუსულად რომ ვთქვათ, „ემუ დასტალოს პო ზასლუგამ“ და მოიმკეს კიდეც, უზუსტესი,– ლაზერულ-ქირურგიული, ანუ უსისხლოდ ჩატარებული კლასიკური ოპერაცია, რომელიც სამართლიანად მოინათლა კოხტად და აკურატულად შესრულებულ ყუთების რევოლუციად, რაც უკვე ყოველ წამს და წუთს ისტორიის კუთვნილება ხდება.

მოკლედ რომ ვთქვათ, 21-ე საუკუნეში ყველასთვის დღესავით ნათელია, რომ ეკონომიკის განმსაზღვრელობის პირობებში პოლიტიკის პირველადობამ კანონზომიერი ხასიათი შეიძინა და, საზოგადოებრივი პროგრესის დღევანდელი მოთხოვნები უარყოფენ სპონტანურ და სტიქიურ პოლიტიკას. გადაწყვეტილებათა მიღებისთვის აუცილებელია პოლიტიკურ-ეკონომიკურ კანონზომიერებათა ცოდნის საფუძველზე სიღრმეში წვდომა.

უნდა ვაღიაროთ, რომ მთელი ჩვენი დამოუკიდებელი ცხოვრების განმავლობაში (1989 წლის 9 აპრილის შემდგომ პერიოდს ვგულისხმობ). ბევრი ძიება-მცდელობის და შეცდომების დაშვება-სწორების მთელი კასკადის შემდეგაც იმ ერთადერთი სწორი და სამართლიანი გეზის აღება თუ პოვნა რომ ვერ შევძელით, ეს დღეს ბავშვმაც კი იცის საქართველოში.

არადა, დეკლარაციის დონეზე ჩვენთანაც იყო მცდელობა „ადამიანის სამეურნეო ურთიერთობათა ახალი სისტემის“ ეროვნულ ნიადაგზე დამყნობა-დაფუძნებისა. მაგრამ რად გინდა – არა შეჯდა მწყერი ხესა...

მას შემდეგ ორ ათწლეულზე მეტი დავახურდავეთ და, სულ ახლახან გამოცემული შესანიშნავი წიგნი, **„საქართველოს ეკონომიკა“**, რომელიც ცოცხალი წმინდანის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების 35-ე წლისთავს ეძღვნება. გამოცემის მთავარი რედაქტორი პროფესორი როზეტა ასათიანი „წინათქმაში“ წერს, რომ საქართველოსთვის მიუღებელია რომელიმე ქვეყნის განვითარების მოდელის მთლიანად გადმოღება-გამოყენება. საქართველოს აქვს საკუთარი ისტორიული თუ სოციო-კულტურული ტრადიციები, რომელსაც შესაბამისი მოდელი მიესადაგება...

დიახ, საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამ აქტუალური პრობლემების ადამიანურად მოგვარება გადაწყვეტისკენ არის მიმართული ქართველი სწავლული ეკონომისტების, აგრარიკოსების, იურისტების და, სხვათა და სხვათა აზრი, ფიქრი და დაუცხრომელი კვლევა-ძიებითი საქმიანობა.

ჰოდა, მათ ღრმა მეცნიერულ ნაკვლევ-ნაზრევს, ძვირფას წიგნებად აკინძულს, სამშობლოს ბედზე თუ მის უბედობაზე მოფიქრალი ჩვეულებრივი გონიერი ქართველი კაცი რომ გაეცნობი, არ შეიძლება არ აღფრთოვანდე. იმიტომ, რომ ქართული მეცნიერული გონი მსოფლიო მეცნიერებაში მიღწეულ სიმაღლეებს ყველა ასპექტში, ყველა პარამეტრით, ღვთის მადლით და ნებით ჯერ კიდევ პასუხობს და უტოლდება.

მხედველობაში მაქვს პროფესორ როზეტა ასათიანის ნაშრომი, „გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო“, რომელიც არის ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის და

განზოგადების შესანიშნავი ნიმუში. (2010 წელი). ასეთივეა მისი მთავარი რედაქტორობით გამოცემული ზემონახსენები კაპიტალური ნაშრომი, „საქართველოს ეკონომიკა“, 2012.-308 გვ.

კრებულში წარმოდგენილი ცნობილი 16 მეცნიერ-ეკონომისტი სექტორებად დაყოფილ 22 თავში მართლაც რომ უზადოდ და ბრწყინვალედ წარმოაჩენს დასაბამიდან დღემდე საქართველოს ეკონომიკური განვითარების ყველა ჩრდილ-ნათელს. წიგნში სკრუპულოზური სიზუსტით არის აღნუსხულ-დახასიათებული ყველა ის წყლული, რომელიც ერთობ გაგრძელებული გარდამავალი ხანის საქართველოს ეკონომიკას გააჩნია, რომელიც ჯერ კიდევ ექვემდებარება მკურნალობას. და, რაც მთავარი კი არა, ალბათ, უმთავრესიც არის, ისაა, რომ მისი მკურნალობა-განკურნებისთვის ტრადიციული წესით დამზადებული უებარი ქართული მალამოს რეცეპტებია გამოწერილი.

ასევე ითქმის პროფესორ ნოდარ ჭითანავას ახლახან გამოცემულ ფართოდ გახმაურებულ-რეკლამირებულ ფუნდამენტურ ნაშრომზე, „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები“.

ჩემი ღრმა რწმენით, ზემოთ დასახელებულ წიგნებში წარმოდგენილ პატივცემულ ავტორთა და სხვა ბევრ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომებს არაერთი ნობელის პრემიის ლაურეატი მეცნიერ-ეკონომისტიც სიამოვნებით მოაწერდა ხელს. ჰოდა, სრულიად საქართველოს გასაგონად ვამბობ, რომ მათ მეცნიერულ ნაკვლევ-ნააზრევს, რაც უფრო მალე დავნერგავთ ჩვენს პრაქტიკულ ყოფა-ცხოვრებაში, მით უფრო მალე რომ გვეშველება, ამას რა კითხვა-პასუხი და ჭოჭმანი უნდა?!

ნ. ჭითანავას ზემოდასახელებულ ნაშრომში გატარებული მეცნიერული აზრი სავსებით არგუმენტირებულად გვარწმუნებს, რომ განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავება უნდა დაეკისროს ტრიადას - სახელმწიფოს, მეცნიერებას და ეკლესიას. დაბოლოს, მეცნიერი სულმნათი ილიას სიტყვებით ასკვნის, ჩვენი აზრით, ეს გზა იქნება „პიროვნული, ჯგუფური და სახელმწიფოებრივი ინტერესების ბედნიერი მორიგება ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად“.

ასე რომ, ორი ათწლეული ისტორიისთვის არის დროის მცირე მონაკვეთი, თორემ ჩვენი დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების ავკარგიანობის გასარკვევად სავსებით საკმარისი აღმოჩნდა და, ძალიან, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ამ ტესტის პასუხი აშკარად უარყოფითია.

ჰოდა, პატივცემულო ბატონო ბიძინა, ამდენი უარყოფითის ერთხელ და სამუდამოდ ჩვენი სამეტყველო ლექსიკონიდან ამოსაძირკვად, ამ ეტაპისთვის ყველაზე უპრიანია, ზემოთ ნათქვამი შეგონება, წარსული აშენებს მომავალს, გავიხსენოთ და კიდევაც გამოვიყენოთ.

კარგად ვხედავ, რომ წერილი მიგრძელდება. მაგრამ რა ვქნა? მაინც უნდა ვთქვა და მოვიშველიო, „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“.

არადა, ქართველთა რომელ სიღარიბეზე (გონებრივს ვგულისხმობ...) შეიძლება საუბარი, როდესაც ისტორიული ცოდნის არსენალში თუ „შეიარაღებაში“ გვაქვს ვახტანგ VI-ის იშვიათი და მართლაც მეფური გონიერების გამოვლენის ნიმუში, - „სწავლულ კაცთა კომისიის“ შექმნა და, რაც მთავარია, მისი გონივრულად გამოყენების ბრწყინვალე ისტორიულ-პოლიტიკური პრეცედენტი.

აქ აუცილებლად უნდა მოვიშველიო ღრმად ორიგინალური და განუმეორებელი ქართული ნიჭის მწერლის, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ შეუცვლელი რედაქტორის და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, უკანონოდ ჩაგრულ-შევიწროებული ქართველისთვის საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი თუ მომუშავე, პირდაპირ ვამბობ, შეუდარებელი „სახალხო დამცველის“ ბატონ თამაზ წივწივაძის სიტყვები – „ჩვენ ისეთი კაცები და ქალბატონებიც გვყავს, ვახტანგ VI-ის შექმნილი კომისიის წევრებად რომ გამოდგებოდნენ“.

ჰოდა, იმ მომავალ „სწავლულ კაცთა კომისიაში“, რომელთაც ქვემოთ დავასახელებ, მასაც ვგულისხმობ. და, რა თქმა უნდა, ვეთანხმები. მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, ასეთები თავზე საყრელად გვყავს-მეთქი. აკი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა ბატონმა გიორგი კვესიტაძემ აღნიშნა, გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მეცნიერული პოტენციალის სულ რაღაც 10-20 პროცენტი შემოგვრჩაო!.. და აქ როგორ არ ვთქვა და არ აღვნიშნო ჩვენთვის სამწუხარო და, სხვათა შორის სამარცხვინოც, ფაქტი: ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში ლამის მხოლოდ საქართველომ ვერ აღადგინა თუ მიუახლოვდა მაშინდელ ეკონომიკურ დონეს... არადა, ხომ არ გვავიწყდება, რომ მას შემდეგ მთელი მეოთხედი საუკუნე „გაგვპარვია თუ შემოგვხარჯვია“!

ჰოდა, საქართველოს თავს ღვთის რისხვად მოვლენილი ამ მძიმე „ლოდის“ წამოწევა მხოლოდ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა შეძლო და უკვე რიგით მოქლაქედ ქცეული ცდილობს, რომ ერთხელ და სამუდამოდ, მოისროლოს თვალჩაუწვდენელ უფსკრულში! ენით გამოუთქმელ ამ საშვილიშვილო საქმეს პოლი-

ტიკური ხელისუფლების მწვერვალიდან იქმს თუ სხვა სიმაღლიდან, სულაც არაა მნიშვნელოვანი და მთავარი.

და აქ უკვე სავსებით კონკრეტული სახე მიიღო თუ შეიძინა, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ჩემმა თხოვნა-მომართვამ. ჩვენ ხომ ვაღიარებთ ქართული პოლიტიკური აზროვნების უწყვეტობას და, აქედან გამომდინარე, მოგახსენებთ, რომ არც დღეს გვაწყენს, პირიქით, ჩემი ღრმა რწმენით, მკაცრ აუცილებლობასაც კი წარმოადგენს ძველი კარგი გამოცდილების ანალოგიით ახალი „სწავლულ კაცთა კომისიის“ შექმნა ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და, უპირველესად, იმ მეცნიერ ეკონომისტების შემადგენლობით, ზემოთ რომ დავასახელეთ. რასაკვირველია, კომისიაში შევლენ საქართველოს სოფლის მეურნეობის ცნობილი მეცნიერ-აგრარიკოსები, საქართველოს ექს-პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე (სანამ საკუთარი პერანგის ტარება შეეძლება, ჭკუის საკითხავი პოლიტიკოსი), საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის საპატიო და ახალ არჩეული პრეზიდენტები: თამაზ გამყრელიძე და გიორგი კვესიტაძე, აკადემიკოსები: მარიამ ლორთქიფანიძე და როინ მეტრეველი, ქართული კინოს პატრიარქი რეზო ჩხეიძე, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი თამაზ წივწივაძე...

ჩემ წერილ-მიმართვას დავამთავრებ დიდი მწერლისა და პედაგოგის ჟან ჟაკ რუსოს სიტყვებით: „მცდარიც რომ იყოს ჩემი აზრები, თუ ისინი სხვებს კარგ აზრებს გაუღვიძებენ, ტყუილუბრალოდ არ გამიცდენია დრო“.

ჩვენც ამის იმედით ვამთავრებთ საუბარს ჩვენს ადრესატებთან.

ცოტა არ იყოს კი მერიდება. მაგრამ ასე პირველად ვაწერ ხელს.

სტატია უცვლელად არის გადმოტანილი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოდან“, დაცულია ყველა საავტორო უფლება